ოქმი N13

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 5 აგვისტო

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

2. „ქ. ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: რ. შულაია - გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა დაახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - ივნისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

8. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შენიშვნები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, მისთვის გაუგებარია ყოველ სხდომაზე რატომ ხორციელდება „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტში ცვლილება, იქნებ ერთხელ და სამუდამოდ განისაზღვროს სამსახურებისთვის საწვავის ის ოდენობა, რაც მათ სჭირდებათ. ასევე ისაუბრა გარკვეულ პირთათვის ხობის საპატიო

მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე და აღნიშნა, რომ მაინც და მაინც წინა საარჩევნოდ რატომ იქნა მინიჭებული მოქალაქეობა, ეს შეიძლება, ცოტა ადრე გაკეთებულიყო. მისი განცხადებით ეს ყველაფერი ეჭვს იწვევს, ამით ხომ არ ხდება ამ პირების წინასაარჩევნო მოსყიდვა.

ე. ჯობავა - განმარტა, რომ საწვავის ლიმიტებში ცვლილება განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით, კერძოდ საკრებულოსთან არსებული მიწის ნაკვეთებზე უფლების აღიარების კომისია გაუქმდა და შესაბამისად გაუქმდა კომისიისთვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტიც. ხოლო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 1 აგვისტოსთვის უნდა შეიქმნას თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია. კომისიის მუშაობის პროცესში კომისიის წევრთა საწვავით უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით კომისიისთვის განისაზღვრება საწვავის ლიმიტი. ხოლო რაც შეეხება ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭებას, ეს ტრადიციულად ხორციელდება ცოტნეობის დღესასწაულთან დაკავშირებით.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: შ. ჭილაია, მ. ყურუა, ნ. შუშანია, დ. გაბუნია, ი. ნადარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მომხსენებლად დღის წესრიგით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის გამგებელი გ. ქაჯაია, ხოლო თანამომხსენებლად გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დ. ჭოჭუა, პირველ მომხსენებელს საკრებულოს სხდომაზე ერთხელაც არ გამოუტანია საკითხი განსახილველად. მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა მომხსენებლად მიეთითებინათ დავით ჭოჭუა და თანამომხსენებლად გოჩა ქაჯაია. გამგებელი ბიუჯეტის პროექტს თუ არ გამოიტანს განსახილველად, მინიმუმ სხდომებს მაინც უნდა ესწრებოდეს, რადგანაც საკრებულოს წევრები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს.

თ. გულუა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რა თანხა იყო გამოყოფილი ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ბონდის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნული ხიდის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილია 250,0 ათასი ლარი, რომელიც საკმარისა ხიდის სრული რეაბილიტაციისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 18,0 ათასი ლარით მცირდება გადასახდელები - პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნება; 517,0 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები მუხლიდან „საშემოსავლო გადასახადი“, სულ 535,0 ათასი ლარით, რომელიც მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 15,0 ათასი ლარი - „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებაზე; პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებებზე 520,0 ათასი ლარი, აქედან: 270,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებებზე და 250,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის „ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“

ასიგნებებზე. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები, რომლის ასახვა ხორციელდება წარმოდგენილ პროექტში. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა გაიზარდა 517,0 ათასი ლარით და შეადგინა 12891,7 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, შ. ჭილაია, მ. ყურუა, ნ. შუშანია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N20 ოქმს თან ერთვის)

2. „ქ. ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ქ. ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ხობის ტერიტორიაზე სხვადასხვა საგზაო ნიშნების განთავსება. აღნიშნული საგზაო ნიშნების განთავსებით დაკმაყოფილებული იქნება ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნა ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, შ. ჭილაია, მ. ყურუა, ნ. შუშანია, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N21 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 სპორტული მოედანი, მდებარე

ქ. ხობში, სპორტის ქუჩაზე, უზუფრუქტის წესით, არსებობის ვადით გადაეცემა ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთს“, ხოლო ჭალადიდის ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში პირველ სართულზე არსებული 139,48 კვ.მ. ფართის აუქციონის საფუძველზე, იჯარის წესით გასხვისება ხორციელდება. განკარგულების პროექტის თანახმად ასევე ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება „ოპელ-ასტრა“ და „გაზ 52-04“ თხოვების ფორმით, 3 წლის ვადით გადაეცემა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრს ავტოსწავლებისთვის. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ქარდავა შემოვიდა წინადადებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება „ოპელ-ასტრა“ და „გაზ 52-04“ თხოვების ფორმით განათლების ცენტრს, ნაცვლად 3 წლისა გადაეცეს 1 წლის ვადით ან საერთოდ არ იქნეს ვადა მითითებული, რომელსაც თვითონაც ეთანხმება

ა. **ვარდია** - გამომსვლელი დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება „ოპელ-ასტრა“ და „გაზ 52-04“ განათლების ცენტრს გადაეცეს არსებობის ვადით.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების „ოპელ-ასტრა“ და „გაზ 52-04“ თხოვების ფორმით განათლების ცენტრს არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, შ. ჭილაია, მ. ყურუა, გ. ხურცილავა კ. ლატარია)

კენჭი ეყარა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის კორექტირებულ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, შ. ჭილაია, მ. ყურუა, გ. ხურცილავა, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N45 ოქმს თან ერთვის)

4. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოსთან არსებული მიწის ნაკვეთებზე უფლების აღიარების კომისია 1 აგვისტოს მდგომარეობით გაუქმდა და შესაბამისად გაუქმდა კომისიისთვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტიც. ხოლო 1 აგვისტოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია. კომისიის მუშაობის პროცესში კომისიის წევრთა საწვავით უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით კომისიისთვის განისაზღვრება საწვავის ლიმიტი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მსგავსად, თვეში 80 ლიტრის (წელიწადში 960 ლიტრი) ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, მ. ყურუა, ნ. შუშანია, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N46 ოქმს თან ერთვის)

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: რ. შულაია - გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა დაახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: რ. შულაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაციის შემდგომ, ცენტრის ბაზაზე არსებული ავტოსკოლის შენარჩუნება მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქნა მიჩნეული, აღნიშნულიდან გამომდინარე ავტოსკოლა, სტრუქტურული ერთეულის სახით ემატება ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრს“ და შესაბამისი ფუნქციისა და დაფინანსების წყაროს შესახებ ჩანაწერი კეთდება წესდებაშიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ ავტოსკოლაში სწავლის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, გააჩნია თუ არა შესაბამისი ფართი განათლების ცენტრს?

რ. შულაია - გამომსვლელის განცხადებით, ამ ეტაპზე ავტოსკოლა დროებით იქნება განთავსებული განათლების ცენტრის შენობაში, ხოლო ყოფილი კინოს სახლის „თუთარჩელას“ შენობის რეაბილიტაციის შემდგომ, იქ გამოიყოფა მისთვის შესაბამისი ფართი.

დ. გაბუნია - გამომსვლელის განცხადებით, გასაგები იყო მისთვის თეორიული სწავლება სადაც ჩატარდებოდა, თუმცა დაინტერესდა, თუ სად შეძლებდნენ დაინტერესებული პირები პრაქტიკული სწავლების გავლას?

რ. შულაია - გამომსვლელის განცხადებით, მიმდინარეობდა შესაბამისი ფართის მოძიება, ამ ეტაბისთვის იყო რამოდენიმე ადგილი შერჩეული. მისი თქმით მიმდინარეობს

შესწავლა და რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება იქ მოეწყობა პრაქტიკული სწავლების ცენტრი შესაბამისი აღჭურვილობით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაციის შემდგომ, ცენტრის ბაზაზე არსებული ავტოსკოლის შენარჩუნება მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქნა მიჩნეული, მით უფრო, რომ შესაბამისი მოთხოვნა არსებობს მოქალაქეთა მხრიდან. ამასთან ავტოსკოლას გააჩნდა გამართული სათანადო ტექნიკური და მეთოდური საშუალებები, რაც ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამგეობის შესაბამისი სამსახურის მხრიდან მომზადდა წინადადება ყოფილი პროფესიული სწავლების ცენტრთან არსებული ავტოსკოლა სტრუქტურული ერთეულის სახით დაემატოს ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრს, რაზედაც გამგეობის მხრიდან წარმოდგენილ იქნა განათლების ცენტრის წესდებაში ცვლილების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, მ. ყურუა, კ. ლატარია, კ. კაკულია, გ. ხურცილავა, მ. ფილიპია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N47 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ.ცატავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის 2016 წლის 27 ივლისის სხდომაზე მიღებული რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის 2016 წლის 8 ოქტომბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების ფარგლებში სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისს მიღებული ჰქონდა განკარგულება N38 „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რეკომენდაციაში გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში კომისიის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა ცვლილება იქნეს შეტანილი საკრებულოს ზემო აღნიშნულ განკარგულებაში და საარჩევნო სუბიექტებისთვის განისაზღვროს ქალაქ ხობში არსებულ სტენდებზე განსათავსებელი საარჩევნო პლაკატების რაოდენობა და ზომა, კერძოდ პლაკატების რაოდენობა არაუმეტეს 3 ერთეულისა და ზომით არაუმეტეს სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ, რაზედაც კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი ცვლილების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათი მხრიდან რაც იქნება ღონისძიებები გასატარებელი ყველაფერს დროულად მოაგვარებენ. იქვე მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში არის ისეთი ადგილები, სადაც ბანერები შელახულია და საჭიროებს შეკეთებას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, მ. ყურუა, კ. ლატარია, გ. ხურცილავა, კ. კაკულია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N48 ოქმს თან ერთვის)

7. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - ივნისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - ივნისის თვის შესრულების თაობაზე (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის თვის შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ 2016 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 11079.1 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 11850,8 ათასი ლარი შეადგინა. 2016 წლის ბიუჯეტის 6 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 66.15 %-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 4095,6 ათასი ლარიდან შემოსულია 4770,2 ათასი ლარი (116,5%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 6137,0 ათასი ლარიდან მიღებულია 2228,1 ათასი ლარი (36,3%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 424.6 ათასი ლარიდან შემოსულია 293,5 ათასი ლარი (69,1%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 421.9 ათასი ლარიდან შემოსულია 36,8 ათასი ლარი (8,7%). ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი იანვარ-ივნისის თვის შესრულების მიხედვით ათვისებულია 41,1% (გეგმა 1185,8 ათასი

ლარი, ფაქტიური შესრულება 4874,63 ათასი ლარი). გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში და შესრულების შედეგებს აფასებს დადებითად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 6 (მ. ქარდავა, რ. გვარამია, თ. გულუა, მ. ლაგვილავა, მ. გელანტია, ნ. შუშანია)

დადებითი – 16 (ე. ჯობავა, გ. სიჭინავა, ლ. ცატავა, დ. გაბუნია, თ. აბაკელია, ვ. კუკავა, ლ. ქავთარაძე, მ. ლემონჯარია, შ. ჭილაია, ჯ. ნადარაია, კ. მიქაბერიძე, ბ. ქირია, გ. ქამანაია, გ. ზარანდია, მ. ფილიპია, ლ. ლოლუა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, მ. ყურუა, კ. ლატარია, გ. ხურცილავა, კ. კაკულია, ი. ნადარაია)

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - ივნისის თვის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად.

8. სხვადასხვა.

მოისმინეს: თ. გულუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელზე შემოსული, ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება (ოქმს თან ერთვის), სადაც საუბარია სოფელში არსებულ სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე, კერძოდ: ითხოვენ სოფელში ორ უბანს შორის არსებული ხიდის რეაბილიტაციას, რადგანაც წვიმიან ამინდში გადასვლა ფაქტიურად შეუძლებელია და მოსახლეობას უხდებათ შემოვლითი გზით გადაადგილება. მეორე საკითხი ეხება სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას, ხოლო მესამე საკითხი ითხოვენ სოფელში მდინარე ხობისწყლის მარჯვენა მხარეს გზების მოწესრიგებას, რადგანაც მათი განცხადებით მსუბუქი მანქანით გადაადგილება თითქმის შეუძლებელია. მოსახლეობის განცხადებით, თუ ეს პრობლემები დროულად არ მოგვარდა ისინი საპარლამენტო არჩევნებს სრულ ბოიკოტს გამოუცხადებენ.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ორი უბნის დამაკავშირებელი ხიდის პრობლემა გადაწყვეტილია, რადგანაც პროექტი უკვე მზადაა და უახლოეს პერიოდში დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები. მისი განცხადებით ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება აღნიშნული პრობლემა და მოსახლეობა უსაფრთხოდ შეძლებს გადაადგილებას აღნიშნულ ხიდზე. დანარჩენ

პრობლემებს რაც შეეხება, ყველა საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა და ეტაპობრივად მოგვარდება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ნუგზარ შუშანია
7. თენგიზ აბაკელია
8. ვასილ კუკავა
9. როსტევან გვარამია
10. მალხაზ ლაგვილავა
11. ლევან ქავთარაძე
12. თემურ გულუა
13. ირაკლი ნადარაია
14. მალხაზ ყურუა
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. ედიშერ წურწუმია
20. კობა კაკულია
21. კახა მიქაბერიძე
22. ბეჟან ქირია
23. გიორგი ხურცილავა
24. გენადი ქაძანაია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ფილიპია
27. კახა ლატარია
28. ლეონიდე ლოლუა